ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №57

2015 წლის 6 აპრილი

ქ.ქობულეთი

მუნიციპალური სივრცის გამოყენებაზე

თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-3 პუნქტისა და „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“საქართველოს მთავრობის 2009 წლის №57 დადგენილების მე-16 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად:

1. მიეცეს თანხმობა მოქალაქე ნინო ქაჭრამანის მინდობილ პირს ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ხუცუბანში (ჩაის ფაბრიკა) მცხოვრებ მოქალაქე მალინა ნადირაძეს ქ.ქობულეთი, თამარის სანაპირო №3-ში მრავალბინიან საცხოვრებელი სახლის მშენებლობასთან დაკავშირებით ელექტროსადენების საჰაერო სივრციდან მიწისქვეშა საფარში გადატანასთან დაკავშირებით მუნიციპალური სივრცის გამოყენებაზე.

2. მოქალაქე ნინო ქაჭრამანის მინდობილმა პირმა ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ხუცუბანში (ჩაის ფაბრიკა) მცხოვრებ მოქალაქე მალინა ნადირაძემ უზრუნველყოს მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის საჭირო საპროექტო დოკუმენტაციის შეთანხმება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის არქიტექტურული და სივრცითი მოწყობის სამსახურთან, ენერგო-პროჯორიასთან და ქ.ქობულეთში არსებული სხვა საინჟინრო-კომუნალური ქსელების მეპატრონეებთან.

3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის არქიტექტურული და სივრცითი მოწყობისა და ზედამხედველობის სამსახურებს.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30).

5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **ს.ოქროპირიძე**